პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

**რედაქცია:** ტფილისი, კრუზენ. ქ № 4. მე-8 ხართული

**მთავარი კანტორა:** ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 ხართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომერები რედაქტორის 14--76. მდივნის 10--58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება--30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 48 პარასკევი, 2 მარტი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 000 მან. № 43

## დღიური

**რუსეთი ოკუპაციაში:** გენერალ დენიკინის ბრძანება, ამერიკის დაკავება, ხიკვდილით დასჯის შემოღება, მრეწველობის კონფისკაცია.

**ვერმანია:** კუნოს კაბინეტი შეიყენელია. ბარის ნაციონალიზაციის კანონპროექტის მიღება.

**იტალია:** ფაშისტების და ნაციონალისტების გაერთიანება, მიზრაცას დაკავება.

**ახლო-აღმოსავლეთში:** კერზონის ოპტიმიზმი, რაუფ ბეის განცხადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 მარტისთვის მოწვეულია საქართველოს კომპარტიის

## მე-2-ე ყრილობა

დღის წესრიგი:

1. ცეკას ანგარიში.
2. ცენტრ. საკონტროლო კომისიის და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკას ანგარიში.
4. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ბიუროს ფრაქციის მოხსენება პროფკავშირებში მუშაობის შესახებ.
5. ეროვნული მომენტი პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში.
6. მიწის რეფორმის შედეგები.
7. საშეურნეო აღმშენებლობის ამოცანები საქართველოში.
8. არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: საქართველოს კომპარტიის 100 ნამდვილ წევრისაგან—1 დელეგატი.

წვეული არძია გზავნის დელეგატებს სამხედრო პარტიულ კონფერენციიდან საერთო წესით.

პარტიული ყრილობის გახსნის ადგილის შესახებ გამოცხადებული იქნება დამატებით.

**საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი მიხ. კახიანი.**

ცირკულიარულად.

## კომპარტიის 25 წლის თავისათვის.

**საქართველოს კომპარტიის ორგანო საოლქო და სამაზრო კომიტეტებს:**

**ძვირფასო ამხანაგებო!**

ამ წ. 14 მარტს სრულდება **რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)** არსებობის 25 წელი.

ჩვენმა პარტიამ გაიარა ბრძოლის, დამარცხებათა და გამარჯვებათა ძნელი გზა. გიგანტური ბრძოლის 25 წლის განმავლობაში პარტიამ დაამხო ცარიზმი, ხოლო ოქტომბერში—დიქტატურა.

ამჟამად, როდესაც პარტია სდგას ხელისუფლების სათავეში და წინ მიუძღვის მშრომელთა მილიონებს და აშენებს ახალ ცხოვრებას, საჭიროა ღირსეულად აღვნიშნოთ და ვიდღესასწაულოთ მისი 25 წლის **იუბილე.**

საჭიროა ფართოთ განუმარტოთ პარტიის ახალგაზრდა წევრებს და ყველა მშრომელებს ჩვენი პარტიის ბრძოლის ამ მნიშვნელი და ბრძოლი, როდესაც იგი ჯერ კიდევ ჩასახვის სტადიაში იმყოფებოდა და იწყებდა მუშათა კლასის დაჩაგრულ ფენების დარაზმვას.

იუბილეს სათანადოო და ზეიმით ჩასატარებლად **საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის** სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას იძლევა გატარებულ იქნას ცხოვრებაში შემდეგი ღონისძიებანი:

1. ზახლობულ პარტიულ დღეს იაჩეკების ხლომებზე გაშუქებულ იქნას ეს საკითხი მუშათა და გლეხთა ფარგლო წრეების თანადასწრებით.

2. წინადადება მიეცეს პოლიტიკურ წრეების ხელმძღვანელებს ამ დროისთვის გაძლიერებული მეცადინეობა ორმოვინ წრის წევრებთან ჩვენი პარტიის ისტორიაში, უმთავრესად იმ პერიოდის ისტორიაში, რომელიც ეხება მის ჩასახვას და ორგანიზაციას.

3. ამ დღისათვის მოეწყოს ახალი პოლიტ-წრეები უპარტიო მასების ჩაბმით.

4. 8 მარტს მუშათა და გლეხთა ყველა კრებებზე გაიმართოს მოგონებათა საღამოები, რომელზედაც განხილული იქნება რევოლიუციონური ბრძოლის ისტორია და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციის მუშაობის შედეგები, აქ გაშუქებული უნდა იქნეს ორგანიზაციების ცხოვრების თვალსაჩინო მომენტები რევოლიუციის საქმისათვის დაღუპულ ყველაზე უფრო მომქმედ ამხანაგების როლი.

დაინიშნოს განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების და „სპარტაკის“ დათვალიერება. 13 მარტს, საღამოზე დაინიშნოს პარტიულ კომიტეტების პარტიის წევრთა თანადასწრებით, პროფორგანიზაციების. ახალგაზრდობის კომკავშირის და წითელ-არმიის ნაწილების საზეიმო სხდომები.

საზეიმო სხდომა მიეძღვნას იუბილეს, რის შემდეგ გაიმართოს უფასო წარმოდგენები.

ყველა პარტიულ-საბჭოთა გაზეთებმა ადგილი დაუთმონ დღესასწაულს; წინასწარ შეუკვეთონ რა წერილები და მოგონებანი, პარტიის ძველ წევრებს—რევოლიუციონურ ქარიშხლის და ბრძოლების მონაწილეებს.

მუშათა და ახალგაზრდათა კომკავშირის კლუბებში დაიდგას ინსცენიროვკა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პარტიის ბრძოლის ისტორიიდან და აგრეთვე გაიმართოს მოგონებათა საღამოები.

ბიბლიოთეკებმა უნდა გამართონ იმ ლიტერატურის გამოფენა, რომელიც ეხება თვითმპყრობელობის და მენშევიკების წინააღმდეგ პარტიის ბრძოლის ისტორიას.

დამატებითი მასალები და თეზისები ცალკე გამოგეგზავნებათ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის მდივანი **მიხ. კახიანი.**

ც. კ. საგიტ-საპროპაგანდო განყოფ. გამგის მოადგილე **ა. კვირიკაძე**

## მუშა-ქალთა დღისათვის

რვა მარტი მუშა-ქალების საერთაშორისო დღეა.

ეს დღე დაწესებულ იქნა მუშა ქალთა საერთაშორისო კრილობაზე, რომელიც შესდგა კოპენგაგენში 1910 წელს.

აღნიშნული დროიდან ყველა ქვეყნის მუშა-ქალები ამ დღეს ჯამს უკეთებენ თავიანთ რევოლიუციონურ-ლასობრივ ბრძოლის შედეგებს, ახლენენ თავიანთ ძალების დემონსტრაციას, ამყალენენ ურყევ გადაწყვეტილებას იბრძოლონ მუშა მამაკაცთან ერთად მშრომელთა საბოლოო განთავისუფლებისათვის.

ქალთა მოძრაობა ანუყრელი ნაწილია საერთოდ პროლეტარიატის განმანთავისუფლებელ მოძრაობის, და მუშათა კლასის ეს ორი სქესობრივად განსხვავებული ნაწილი საერთოდ ბრძოლით ცდილობენ ექსპლოატაციის მოსპობას, შრომის სუფევის დამყარებას.

მუშა ქალთა ბრძოლას არაფერი აქვს საერთო ე. წ. ფემინისტურ მოძრაობასთან, რომელიც წარმოებს ბურჟუაზიულ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

ბურჟუაზიული წრის ქალიც „იბრძვის“ ამავე კლასის მამა-კაცთან გათანასწორებისათვის ბურჟუაზიულ საზოგადოების პირობებში. ამ ფემინისტურ მოძრაობაში ცდილობენ ფემინისტები მშრომელი ქალებიც ჩაბაან. მაგრამ პროლეტარ ქალს შეგნებული აქვს თავისი კლასობრივი ერთობა მუშა-მამაკაცთან და ის მასთან ერთად იბრძოლებს სოციალურ ბრძოლას, ხოლო გადაჭრით უარყოფს თუმცა სქესობრივად ერთი, მაგრამ სოციალური მდგომარეობით მოწინააღმდეგე ბურჟუაზიულ დედა-კაცთან თანამშრომლობას და ერთიან ფრონტს.

„ეში რა საჭიროა მუშა ქალთა ცალკე დღე და მათი განსაკუთრებული ორგანიზაციული გამოსვლები, ეტყვიან შეგვეკითხოს ზოგიერთი მკითხველი.

საქმე ის არის, რომ მუშა ქალის მდგომარეობა მაინც განირჩევა მუშა-მამა-კაცის მდგომარეობიდან. ბურჟუაზიულ ქვეყნებში მშრომელი ქალი ეკონომიურად, პოლიტიკურად, კულტურულად უფრო აუტანელ პირობებში იმყოფება თავის მოძმე მუშაზე, იგი მოკლებულია ბევრ იმ უფლებებს რომლებიც უკვე მოიპოვა უკანასკნელმა. ის უფრო დაბეჩავებულია და ჩამორჩენილი ყოველ მხრივ. კაპიტალისტები, „გაათანასწორეს“ რა მათ მუშები და მუშა ქალები მათი ექსპლოატაციის საქმეში, ამ უკანასკნელებს უფრო მეტ დ სჩაგრავენ მატერიალურად, უფლებრივად და სხვა მხრივ.

საბჭოთა რესპუბლიკებში თუმცა მუშა-ქალებს მინიჭებული აქვთ სრული თავისუფლება და თანასწორობა მამაკაცებთან ერთად, თუმცა მათი ეკონომიური მდგომარეობა და პოლიტიკური უფლებები გათანასწორებული, მაინც ისინი, წარსულიდან ნაანდერძევი სიბეჩავის და ჩამორჩენილობის წყალობით, ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ ფაქტიურად სავსებით ისარგებლონ ახალი რეჟიმის ხელსაყრელი პირობებით.

მუშებს და მუშა-ქალებს საერთო კლასიური ორგანიზაციები აქვთ. მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა მშრომელ ქალებ შორის საგანგებო მუშაობის წარმოება, რათა ისინი გაუთანასწორდენ მამაკაცებს, რათა მათ ამ უკანასკნელებთან ერთად შესძლონ განმამაკავისუფლებელ ბრძოლაში ჩაბმა, ან ცხოვრების აღმშენებლობითი მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღება, სადაც, როგორც საბჭოთა რესპუბლიკებში, ეს სავსებით შესაძლებელია და საჭიროებულია.

ამ მხრივ მუშაობა ჩვენში დიდი წარმოებს. სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული მშრომელ ქალთა გათვითცნობიერებას, მათ მომზადებას და ორგანიზაციულად დარაზმვას.

ქალთა შორის განსაკუთრებული მუშაობა, მათი საერთაშორისო დღეც ამ მიზნს ემსახურება.

რვა მარტმა უნდა ნათელყოს, თუ რაა ჩვენში გაკეთებული ამ სფეროში და რა უახლოესი ამოცანები გვიდევს წინ. მუშაობა მშრომელ ქალთა შორის, მათი ჩაბმა მუშათა საერთო მოძრაობაში და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში უნდა გაფართოვდეს და გაღრმავდეს. მუშა ქალი უნდა იქნას გამოყვანილი იმ დაბეჩავებული მდგომარეობიდან, რომელიც მემკვიდრეობად მივიღეთ ძველი რეჟიმებიდან.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მუშათა კლასის გამარჯვების საქმე არასოდეს არ იქნება უზრუნველყოფილი, თუ მისი ერთი ნახევარი, მუშა ქალი ფაქტიურად არ გაუთანასწორდა მუშა-მამაკაცს და მასთან ერთად აქტიურ და შეგნებულ მონაწილეობას არ მიიღებს ბრძოლასა და შემოქმედებაში.

რვა მარტი მოგვაგონებს ამ დარგში ჩვენ წინაშე მდგომ ამოცანებს და ხელს შეუწყობს მშრომელ ქალთა გამოფხიზლებას.

ჩვენ უნდა მოვემზადოთ ამ დღის სათანადოთ ჩატარებისათვის.

## მუშების და მოსამსახურეების ბიუჯეტი ამიერ-კავკასიაში

სრულიად რუსეთის პროფ. კავშირთა საბჭოს, ამიერ-კავკასიის ბიუროს პლენუმის და ამიერ-კავკასიის სახალ. კომისართა საბჭოს დადგენილებით, მარტში ამიერ-კავკასიაში დაიწყება მუშების და მოსამსახურეების ბიუჯეტის გამოკვლევა.

ეს საქმე დავალებული აქვს ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატთან არსებულ ამიერ-კავკ. შრომის სტატისტიკის ბიუროს.

ამ გამოკვლევას, დიდ სამეცნიერო ინტერესის გარდა, აქვს უდიდესი მნიშვნელობა პრაქტიკულად.

მისი მიზანია—სტატისტიკური და კვირვების გზით გამორკვეულ იქნეს მუშების და მოსამსახურეების მატერიალური მდგომარეობა, შრომის პირობები, კვება, სანიტარო პირობები, კულტურული მოთხოვნილებანი და სხ., და აგრეთვე წარმოების სხვადასხვა დარგის და პროფესიის მუშაკთა რეალური სამუშაო ხელფასი.

ამის გარდა, ბიუჯეტის ეს გამოკვლევა შესაძლებლობას მოგვცემს მომავალში სამეცნიერო-სტატისტიკური გამოკვლევის გზით სწორად მიუდგეთ საკითხს სხვადასხვა წარმოებებში სამუშაო ხელფასის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ასეთი გამოკვლევა ხდება ხშირად, თითქმის პერიოდულად და იქ ამ საქმეს დიდი დაბრკოლებები არ ეღობება, უპირველესად ყოვლისა, იმიტომ, რომ დასავლეთ ევროპის მუშას ყოველთვის გათვალისწინებული და სწორად გამოანგარიშებული აქვს თავისი ხარჯები,—რაც იძლევა უტყუარ მასალას დაკვირვებისა და გამოკვლევისათვის, ბემდეგ, იმიტომ, რომ ის შედარებით კულტურულად მაღლა სდგას, დაინტერესებულია ამ ვარ გამოკვლევებში და ყოველთვის ხელს უწყობს მას.

შეტად ძნიმეა ეს მუშაობა ჩვენს პირობებში. არა მარტო ცალკე მუშებს და მუშათა მასსებს, არამედ პროფკავშირებსაც, უმეტეს შემთხვევაში, არა აქვთ საკმაოდ გარკვეული წარმოდგენა ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ და ამ ღონისძიებისადმი მათი თანაგრძნობა და დახმარება, თავისთავად ცხადია, ვერ მიწვდებოდა მუშათა ფართე მასსებს.

მუშათა ბიუჯეტის გამორკვევა ხომ არის იგივე, რაც მუშათა ცხოვრების პირობების მასსიური გამოკვლევა, ამ პირობების შესახებ კი ჩვენმა პროფკავშირებმა, საუბედურად, ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი იციან, საჭიროა კი რომ იცოდენ, ვინაიდან ცხოვრების პირობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე, რასაც ამ ჟამად, ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერაციის სახალხო მეურნეობის აღორძინებისათვის გაძლიერებული მუშაობა დროს პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი ამ განსაკუთრებული ხასიათის მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს მომავალ ბიუჯეტის გამოკვლევას. მუშათა მასსების ცხოვრება რევოლიუციონურ ეპოქაში რთული და მრავალფეროვანია და მისი სხვადასხვა გვარი მხარეების გამორკვევა შესაძლებელი მხოლოდ სპეციალური შესწავლის გზით.

სტატისტიკა—ციფრების მიუდგომელი ენაა. მისი საშუალებით შესაძლებელია არა მარტო უბრალო გამოკვლევა, არამედ აგრეთვე სამეცნიერო ანალიზის გზით რევოლიუციის პროცესებების და მისი დამახასიათებელი სოციალური ფაქტორების, ეკონომიური განვითარების თუ ჩამორჩენილობის ეტაპების შესწავლა.

ყოველი რევოლიუცია აუცილებლად იწვევს მცხოვრებთა ფართე წრეების ცხოვრების სოციალურ-ეკონომიურ და საოჯახო პირობების გარდატეხას.

ამიერ-კავკასიაში პროლეტარულმა რევოლიუციამ 2 წლის განმავლობაში მოახდინა დიდი ცვლილება მუშათა ფართე მასსებში, არა მარტო მის მსოფლმხედველობაში, არამედ მისი ცხოვრების ეკონომიურ-სოციალურ და სხვა სფეროშიაც. მან მისცა მუშათა მასსებს ახალი შეგნება, ახალი გამოცდილება და ახალი მოთხოვნილებანი.

ქვეყნის ნორმალურ სამეურნეო ფუნქციების დარღვევა, შრომის ნაყოფიერების დაცემა, სიძვირის ზრდა და რევოლიუციის თანამგზავრი სხვა მოვლენანი მათი შემოტევითი მოძრაობის პირველ პერიოდში, თავისთავად ცხადია, არღვევენ მუშა-მწარმოებლის შემოსავლის და გასავლის პროცენტულ შეფარდებას.

სიძვირის შეუჩერებელი ზრდის გამო, რეალური სამუშაო ხელფასი იმდენად შორდება საარსებო მინიმუმს, რომ მას აღარ შეუძლია დაფაროს ლა კრებებზე გაიმართოს მოგონებათა საღამოები, რომელზედაც განხილული იქნება რევოლიუციონური ბრძოლის ისტორია და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციის მუშაობის შედეგები, აქ გაშუქებული უნდა იქნეს ორგანიზაციების ცხოვრების თვალსაჩინო მომენტები რევოლიუციის საქმისათვის დაღუპულ ყველაზე უფრო მომქმედ ამხანაგების როლი.

დაინიშნოს განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების და „სპარტაკის“ დათვალიერება. 13 მარტს, საღამოზე დაინიშნოს პარტიულ კომიტეტების პარტიის წევრთა თანადასწრებით, პროფორგანიზაციების. ახალგაზრდობის კომკავშირის და წითელ-არმიის ნაწილების საზეიმო სხდომები.

საზეიმო სხდომა მიეძღვნას იუბილეს, რის შემდეგ გაიმართოს უფასო წარმოდგენები.

ყველა პარტიულ-საბჭოთა გაზეთებმა ადგილი დაუთმონ დღესასწაულს; წინასწარ შეუკვეთონ რა წერილები და მოგონებანი, პარტიის ძველ წევრებს—რევოლიუციონურ ქარიშხლის და ბრძოლების მონაწილეებს.

მუშათა და ახალგაზრდათა კომკავშირის კლუბებში დაიდგას ინსცენიროვკა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პარტიის ბრძოლის ისტორიიდან და აგრეთვე გაიმართოს მოგონებათა საღამოები.

ბიბლიოთეკებმა უნდა გამართონ იმ ლიტერატურის გამოფენა, რომელიც ეხება თვითმპყრობელობის და მენშევიკების წინააღმდეგ პარტიის ბრძოლის ისტორიას.

დამატებითი მასალები და თეზისები ცალკე გამოგეგზავნებათ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის მდივანი **მიხ. კახიანი.**

ც. კ. საგიტ-საპროპაგანდო განყოფ. გამგის მოადგილე **ა. კვირიკაძე**

# მენშევიკური პარტიის ცნობილი მოღვაწეების, ბიჭტორ თევზაიასი და პეტრე გელეიშვილის,

## განცხადებანი

**გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.**

ამით ვაცხადებ, რომ, ჩემ მიერ სრულიად შეგნებულად მიღებულ გადაწყვეტილების თანახმად, თავს ვანებებ ყოველგვარ პოლიტიკურ საქმიანობას.

საჭიროდ მიმაჩნია ამას დაუმატო, რომ ყოველთვის ვიყავი და დღესაც ვარ წინააღმდეგი შეიარაღებული ბრძოლის არსებულ ძალა-უფლების წინააღმდეგ და ყოველგვარ იმპერიალისტურ ინტერვენციის საქართველოს საქმეებში.

**ბიჭტორ თევზაია.**

28 თებერვალი, 1923 წ.

**პატივცემულ ამხანაგო მიხა!**

ვაძლევთ ჰატიოსან სიტყვას, რომ წელიწად ნახევარი მეტია, რაც საკანში ვარ და კარში არ გამოვსულვარ. თქვენი პარტიის წინააღმდეგ არც მიმეშვაია, არც ეხლი ვმუშაობ და არც მომავალში ვფიქრობ მუშაობას. რაც შეეხება უფრო შორეულ წარსულს, ვგონებ უსარგებლო არ ვიყავი იმ თქვენი პარტიის დამამშვენებელი ამხანაგებისათვის, რომლებიც პირდაპირ მოდიოდენ ჩემთან ამბ. მიხას წერილებით. ასეთები იყვნენ ალიოშა ჯაფარიძე ბაქოში, საშა წულუკიძე თბილისში და სხვა. რათ უნდა ჩამეთვალოს ცოდვათ, რომ ვიყო და მოვკვდე იმ მესამე დასელათ, რომელიც თქვენ თვითონ შექმენით და რომლის წევრათაც თქვენ თვითონ მომმართეთ.

დანარჩენი თქვენთვის მომინდვია.

პირადათ მუდამ თქვენი პატივისმცემელი **პეტრე გელეიშვილი.***)

20 თებერვალი 1923 წელი.

*) თანახმად ავტორის სურვილისა, ვბეჭდავთ მის წერილს, მიმართულს ამხ. მიხა ცხაკაიასადმი. რედ.

## რღვევის პროცესში

ოქტომბრის დიდი რევოლიუციის პროცესში, როდესაც უკანასკნელ ხარისხამდე გაშიშვლდნენ საზოგადოების შემადგენელ ძალთა ინტერესები და წინანდ ჩასახული კლასიურ-პოლიტიკური იდეოლოგიები, ასე ვთქვათ, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული წარსდგენ ურთიერთ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ასპარეზზე, აშკარა შეიქნა მოღალატური ბუნება იმ წვრილ ბურჟუაზიული პარტიების, რომლებიც მოხერხებულათ ეხვეოდნენ „სოციალისტურ“ და „დემოკრატიულ“ სამოსელში. ჩვენ ვლაპარაკობთ მენშევიკებზე და სოციალისტ-რევოლიუციონერებზე.

თუ ოდესმე მიეცა აშკარა გამართლება ლასალის ცნობილ დებულებას „ერთიანი რეაქციონური მასის შესახებ“, დებულებას, რომელიც მნი წამოყენების დროს და გარკვეულ სოციალ-პოლიტიკურ გარემოებებში შეიცავდა უუდიდეს ტაქტიკურ შეცდომას (რაზედაც ხაზგასმით მიაქცევს ყურადღება მარქსმა და ენგელსმა გერმანიის სოციალდემოკრატიის პროგრამის დისკუსიასთან დაკავშირებით), თუ, ოდესმე, ვიმეორებთ ჩვენ, ხოლ ეი შეისხა ამ ტაქტიკურმა დებულებამ—უეჭველათ ითქმის, რომ ეს მოხდა სწორედ ამ მომენტისთვის და მას შემდეგ, რაც პროლეტარიატმა რუსეთში ხელთ იგდო სახელმწიფოს ძალა-უფლება და შეუდგა თავის კლასიური მიზნების განხორციელებას. ასეთ მომენტებში განსაკუთრებით აშკარავდება რეაქციონერი არსი ამოძრავებულ საზოგადოებრივ ძალების და მათ შორის თვით ისეთებისაც, რომლებსაც თითქოს კავშირი აქვთ ყველაზე უფრო რევოლიუციონურ კლასთან, პროლეტარიატთან, და მის „მზეს ფიცულობენ“.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (მენშევიკებისას) და ესერებს ეწვიათ სწორეთ ეს „ბედი“. ჩვენ არას ვიტყვით ამ წერილში უკანასკნელებზე. რაც შეეხება პირველებს, ჩვენ არა ერთხელ გაგვიცხადებია, რომ ისინი წარმოადგენენ წვრილ ბურჟუაზიულ კლასების ეკონომიურ-პოლიტიკურ ინტერესებს და ამიტომ მთელი მათი მოქმედება აღბეჭდილია მერყეობით, ორპოფობით და ორპირობით, როგორც რევოლიუციამდე ისე განსაკუთრებით ამ რევოლიუციის პროცესში. და ეს გაგრძელდა მანამდი, სანამ მათ ხელაღებით თავი არ ამოჰყვეს მებრძოლი პროლეტარიატის მოსისხლეთ მტერთა ბანაკში. ეს არა ერთხელ დამტკიცდა რევოლიუციის თვალსაჩინო ეპიზოდების მაგალითებზე, ეს დებულება შეადგენს დღეს მტკიცე იდეიურ-პოლიტიკურ მონაპოვარს რევოლიუციონური პროლეტარიატის კლასობრივ შემეცნებისას.

ამ ფაქტის საბოლოო გამოაშკარავებას ვრონაირი გავლენა უეჭველათ უნდა მოეხდინა პარტიის იმ წრეებზე და იმ ბელადებზე, რომლებიც იყვნენ დაკავშირებული (და ასეთი ელემენტები იყვნენ მენშევიკური პარტიაშიც) მუშებთან.

ერთი მხრით კონტრ-რევოლიუციონურმა ჩიხმა, რომელშიდაც ისინი მოამწყვდია პარტიის ტაქტიკამ, მეორე მხრით კი საბჭოთა ხელისუფლების გაწმტკიცებამ და ბოლოს კომპარტიის შეუბრალებელმა კრიტიკამ და მხილებამ, დაჰბადა მენშევიკური პარტიის უფრო რევოლიუციონური ელემენტებისა და მუშური შემადგენლობის მოძრაობა ტუშმარიტ პროლეტარული პარტიისა და მშრომელთა ხელისუფლებისაკენ გადასასვლელათ. ამ მოძრაობამ მიიღო თითქმის მასიური ხასიათი რუსეთში და ამასთანავე დაკავშირებით ადგილი ჰქონდა სულ უკანასკნელ ხანებში გამოსვლას მენშევიზმის ისეთი ყოფილი ბელადებისას, როგორიც არიან ა. მარტინოვი და ნ. როტკოვი. ამ უკანასკნელის წერილი იბეჭდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში. ამ დღეებში საშუალებას მივსცემთ ჩვენ მკითხველებს გაეცნონ ახალ შეხედულებებს მარტინოვისას უფრო ვრცლათ. ორივე ავტორი, განსაკუთრებით ა. მარტინოვი გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მთელ ტრადიციულ ტაქტიკას მენშევიზმისას, აშკარავებს მის კონტრ-რევოლიუციონურ როლს რუსეთის რევოლიუციაში და ხელაღებით გადადის კომუნისტური პარტიის პოზიციებზე.

დაახლოებით, ჯერ მხოლოთ დაახლოებით, ასეთივე მოვლენის ნიშნებს ვამჩნევთ დღეს საქართველოშიც და ამ მხრივ დიდ ინტერესს წარმოადგენს აქაური მენშევიკური პარტიის ცნობილი მოღვაწეების წერილები, რომლებიც ჩვენ ზემოთ მოვათავსეთ.

ბიჭტორ თევზაია უბრალო წევრი არ არის საქართველოს მენშევიკური პარტიის, რომლის ორგანიზაციული ნამსხვრევები აჯანყებებისა და ტერორის ტაქტიკაზე არიან დღეს გადასული სისხლის სამართლის დამნაშავეთა ბრბოებთან ერთათ და რომლის ბელადები საზღვარ გარეთ ყოველ საშუალებას ხმარობენ საქართველოში იმპერიალისტური შეიარაღებული ძალებით ინტერვენციის საცდელად. თევზაია ცნობილი წევრია მენშ. პარტიის, აქტიური მოღვაწე მისი, ყოფ. წევრი დამფუძნებელი კრების, და საკმაო ცნობილი ლიტერატურული გამომხატველი მენშევიზმის. ფრიადდამახასიათებელია, რომ **ასეთი** აქტიური მენშევიკი გამოდის განცხადებით, რომ ის „სრულიად შეგნებულად მიღებულ გადაწყვეტილების თანახმად **თავს ანებებს ყოველგვარ პოლიტიკურ საქმიანობას“.** მაგრამ უფრო ყურადსაღებია მისი განცხადება, საბჭოთა ძალა-უფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლასა და საქართველოს საქმეებში იმპერიალისტურ ინტერვენციასთან დამოკიდებულების შესახებ. ის თავ საქართველოს ისტორიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს“.

ბროშურის მთელი შინაარსი ამ ზოგადი დასკვნის- ილიუსტრაციაა მდიდარი, ყოველ მხრივი სტატისტიკური მასალების დახმარებით. ციფრების პრიზმაში ატარებს თ. ღლონტი საქართველოს შინაურ და საგარეო მდგომარეობას მენშევიკების და კომუნისტების დროს. ის აღნიშნავს „უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტს, „რომელიც მცხოვრებთა საკეთილდღეოთ კომუნისტებმა მოიტანეს“—ე. ი. საშინაო, ისე საგარეო მშვიდობიანობას. ის ხაზს უსვამს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ „მსოფლიოში შექმნილ პირობებში მხოლოდ რუსეთის ორიენტაციას და კომუნისტურ პოლიტიკას შეეძლო ფართოდ გაეღო (კარი?) საქართველოსათვის ნაციონალურ-ეკონომიურ აღორძინებისათვის—ამ სიტყვის ულრმესი მნიშვნელობით. და მართლაც, საქართველოს არასოდეს არ უნახავს ისეთი უდიდესი საქმეები, რომელიც ეხლა კეთდება კომუნისტების მიერ“.

ბროშურის თითქმის სამი მეოთხედი დაკავებულია მოთხრობით იმ „უდიდესი საქმეების“, რასაც საქარ. საბჭოთა მთავრობა ეწევა კომპარტიის ხელმძღვანელობით.

მიუდგომელი და საკმაოთ სრულია სურათი ყოველმხრივი საბჭოთა აღმშენებლობისა და თვითეული მუშა და გლეხი უნდა გაეცნოს ამ სურათს უშუალოდ.

ეს გაცნობა ხალისს შემატებს მათ საბჭოთა წყობილების გასამტკიცებლად შრომა-ბრძოლისათვის, იმავე დროს ზიზღით აღავსებს იმ არამზადების მიმართ, რომელნიც სოციალ-დემოკრატიული ფერფლარილით შეთითხნილნი მსოფლიო რეაქციის დავალებებს ასრულებენ და მიპარვით დანას სცემენ ზურგში აღმშენებლობაში ჩაბმულ მუშებს და გლეხებს.

ბ. ო.

## ფაქტები და ციფრები მე-2 ინტერნაციონალის ცულლუტების საპასუხოთ

**(თეოდ. ღლონტი. „მენშევიკური და საბჭოთა საქართველო“. სახელმწიფო გამომცემლობა, 1923 წ.):**

მკითხველს უეჭველია ეხსომება თუ როგორ ქურდულათ ეწეზა შარშან საბჭოთა საქართველოს ყვითელ ინტერნაციონალის და ყვითელ ამსტერდამელ პროფკავშირების ცენტრის წვრილდება ცუდლუტი **ბრაუნტალი.** ქველმოქმედების მოციქულის წამოსასხამით მოადგა ის ბათუმს, შემოთვალა—რვა ვაგონი სამკურნალო წამალი მომაქვს საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ და ვზა ხსნილი დამახვედრეთო.

რვა ვაგონის მაგიერ სულ რამდენიმე ათეული ფუთი მედიკამენტით მოსულიყო ეს უეჭველი ჯამუში მსოფლიო იმპერიალიზმისა, მარა საბჭოთა მთავრობამ მაინც შემოუშვა. ბრაუნტალი ორ კვირამდე ფარნა თბილისში—ვითომ მედიკამენტების დარიგების საქმის მოსაწყობად,—რის შემდეგ უკან გაბრუნდა. ვენაში ჩასვლისთანავე მან გააჩაღა ყოველად საძაგელი კამპანია საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ: „საკუთარი“ უპატიოსნესი თვალით ენახა საქართველოს წარღვნა, განადგურება, გაველურება, გაცამტვერება და სხ. ბალშევიკების რეჟიმის სიმძიმეს ქვეშ. რა თქმა უნდა, საქართველოში ჩასვლა ბრაუნტალის ამიტომ კავშირების და საქარხნო კომიტეტების აქტიური მონაწილეობა ამ საქმეში ფრიად მნიშვნელოვანი ხდება, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისინი, როგორც ამ მუშაობის შედეგებში დაინტერესებულნი ფართე პროპაგანდით მუშადა შორის ქარხნებ-ფაბრიკებსა და სახელოსნოებში ბიუჯეტის გამოკვლევის მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ, უზრუნველყოფენ ამ საქმის წარმატებით ჩატარებას და ხელს შეუწყობენ უმაღლეს საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანოთა დადგენილების განხორციელებას.

ი. უ.

მარა ბრაუნტალის ზღაპარ-ჭორი, ბრაზმორიული მენშევიზმის ცილისწამებით შეავებული ხომ მაინც დარჩა ვენის გაზეთის ფელეტონებში გაბნეული და ცალკე გამოსულ ბროშურაშიაც. საჭირო იყო მეტმორეს და ცილისმწამებლის მხილება, სააკაროაზე ყურით გამოყვანა, მისი ლეგენდების ბურუსის გაფანტვა სინამდვილის სწორი სურათების დაპირდაპირებით.

ეს შრომა თავს უდვია ამხ. თ. ღლონტს. მოსკოვში ყოფნის დროს მას დაუწერია ბრაუნტალის საპასუხო ბროშურა, რომელიც გამოცემულია რუსულად. ამ ბროშურის თარგმანი გამოუშვია ახლა საქ. სახელმწ. გამომცემლობამ.

მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, არა კომუნისტი თუმცა საბჭოთა რეჟიმის პლატფორმაზე მდგომი, უმკლავდება ბრაუნტალს არა პოლემიკური ფანდების დახმარებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებით და ციფრებით. მიუდგომელ მამომხილველ და მამხილებელ თ. ღლონტის ბროშურის ფაქტები და ციფრები სინამდვილის მეადგილებელია და მსუსხავი. ასეთიეა ის მოკლე დასკვნები, რომლებიც თავისთავად გამომდინარეობენ ციფრების ცხრილებიდან და ფაქტების დიდ-დიდ ხროვიდან.

ბროშურის წინასიტყვაობაში თ. ღლონტი სწერს: „ენეშევიკური „სამეფო“-ს საქართველომ თავისი მაგალითით დაამტკიცა „იმპერიალიზმის და რევოლიუციის შორის“ ხეტიალის პოლიტიკის გაკოტრება. იგივე საქართველო გვიჩვენებს ცხოვრებაში საბჭოთა პოლიტიკის ცხოველმყოფელობას და იძლევა მაგალითს ეროვნული, კულტურული და ეკონომიური საკითხების სისწორით გადაჭრისათვის. როგორც მთელი დასავლეთისათვის, ისე განსაკუთრებით გამოღვიძებული აღმოსავლეთისათვის საბჭოთა საქართველოს ბრძოლა ამ მიმართულებით—ასეთია ჩვენი პირდაპირი გზა.

# ნაციონ-ფუპეშეტი

## რურის ოლქის ოკუპაცია

**საფრანგეთის ბატონობა რეინლანდში.**

**ბერლინი.** 1 მარტი. საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების ხელშია ამ ჟამად მთელი რეინლანდი მიუხედავად იმისა, რომ ცნობები ლიმბურგის ოკუპაციის შესახებ ჯერ კიდევ არ დამტკიცებულა. გერმანიის პრესის აზრით, რეინლანდის დაკავებით საფრანგეთმა მიაღწია იმას, რომლისაკენ ის მიისწრაფოდა მრავალი წლების განმავლობაში.

**მუშების დევნა.**

**ბერლინი.** 1 მარტი. ამ ჟამად საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლება ღებულობს შეუბრალებელ ზომებს მუშების დასამშვიდებლად. გამოყენებულია სამუშაო ხელფასის დაკავების მეთოდი. მაგალითად, კუნფერდრეიში საოკუპაციო ხელისუფლებამ ხელთ იგდო 250 მილ. მარკა, რომელიც დანიშნული იყო „პრინც ვილჰელმ“-ის ცეხის მუშებისათვის ჯამაგირის დასარიგებლად.

კაუბში მეზღვაურთა კავშირის ბიუროში კავშირს ჩამოართვეს 12 მილიონი მარკა.

ესსენში ინვალიდების კასას ჩამოართვეს 400,000 მარკა.

**სურსათის რეკვიზიცია.**

**ბერლინი.** 1 მარტი, ოკუპანტების უმაღლესი სარდლობის ბრძანებით, საფრანგეთის ჯარები აწარმოებენ ფართო მასშტაბით რურის ოლქში შემოზიდულ სურსათის რეკვიზიციას. ამის გამო მცხოვრებთა უკმაყოფილება იზრდება.

**მდგომარეობა რთულდება.**

**ბერლინი.** 1 მარტი, მდგომარეობა ბოხუმში, ფრანგების მიერ ჩადენილ რეპრესიების გამო, ძლიერ გართულდა.

**პოლიციის დათხოვა.**

**ბერლინი.** 1 მარტი, საფრანგეთის სარდლობამ ესსენში გასცა ბრძანება გერმანიის პოლიციის სამსახურიდან საბოლოოდ დათხოვის შესახებ.

**კოლონიალური ჯარები ნეივიდში.**

**ბერლინი.** 1 მარტი. ნეივიდში მივიდა და დაბინავდა საფრანგეთის კოლონიალური პოლკი.

**განაჩენი ბუროგმისტრის მიმართ.**

**ბერლინი.** 1 მარტი. რურის ბურგომისტრს ვეტტერს, რომელმაც უარი სთქვა საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლების ბრძანების შესრულებაზე, სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა 1 წლის ციხე და 10 მილ. მარკის რაოდენობით ჯარიმის გადახდა.

**მოძრაობის შეჩერება.**

**ბერლინი.** 1 მარტი. ფრანგების მიერ ბაკის 10 პროცენტით გადიდების ცდის გამო, მოძრაობა დორტმუტ-ემსის არხზე სავსებით შეჩერებულია.

**ბოხუმში.**

**ბერლინი.** 1 მარტი. ბოხუმის ცენტრალურ ნაწილში საოკუპაციო ხელისუფლებამ აკრძალა ყოველგვარი ვაჭრობა სურსათ-სანოვაგით. დახურეს პურის საცხობები, საყასბოები და აგრეთვე სასადილოები, მარტოდენა მუშებისათვის. მოძრაობა ქუჩებში შეჩერებულია: არ ატარებენ თვითანიტარულ კარეტებსაც.

**ფრანგების ძალა.**

**ბერლინი.** 1 მარტი. თემთა პალატაში ბონარ-ლოუმ. შეკითხვაზე განაცხადა, რომ საფრანგეთს ყავს ამ ჟამად რურში არმია, რიცხვით 103,000 კაცი.

**ბონარ ლოუ გერმანიის გადახდიანობის შესახებ**

**ბერლინი.** 1 მარტი. ლიბერალ დეონ სიმონსის შეკითხვაზე გერმანიის გადახდის უნარიანობის შესახებ, ბონარ ლოუმ განაცხადა, რომ გერმანიის ვალი ალბათ უდრის 1921 წელს გამორკვეულ ჯამს და რომ გერმანიის მიერ ამ ვალის გადახდა შეუძლებელია.

— „ვესტმინსტერ გაზეტ“-ი არჩევს რა სიმონსის შეკითხვას, რომელიც შეეხება საფრანგეთის გადაწყვეტილებას განაგრძონ რურის ოკუპაცია იმ დრამდე, სანამ გერმანია არ გადაიხდის თავის ვალებს, ამბობს, რომ ამ შემთხვევაში საფრანგეთი სამუდამოთ უნდა დარჩეს რურში.

**პოლიციის განიარაღება.**

**პარიზი.** 1 მარტი. ბოხუმში სწარმოებს ფრანგების მიერ „მშვენე პოლიციის“ განიარაღება. ამ მიზნით საოკუპაციო ჯარმა დაიკავა პოლიციის უყაზარმები. ბოხუმის პოლიციის განიარაღების შემდეგ საოკუპაციო ხელისუფლება დაიწყებს პოლიციის განიარაღებას სხვა ქალაქებშიც.

**ახალი კონფერენცია.**

**ბერლინი.** 1 მარტი. პარიზში 4 მარტისათვის დანიშნულია კონფერენცია, რომელზეც მონაწილეობას მიიღებს საფრანგეთი, ბელგია, ინგლისი და ამერიკა. კონფერენცია მოწვეულია საოკუპაციო ხარჯების რაოდენობის გამოსარკვევად.

**სამხედრო დიქტატურა.**

**ბერლინი.** 1 მარტი. სამხედრო ხელისუფლებამ რურის ოლქში გამოაქვეყნა დადგენილება, როლის თანახმად ვინც არ დაემორჩილება საფრანგეთის დადგენილებებს, მას მიესაჯება 10 მილ. ჯარიმა ან 5 წლის ციხე.

**ემერიხის დაკავება.**

**ლონდონი.** 1 მარტი. ამსტერდამიდან „დეილ-მეილის“ ცნობით, ოკუპანტების სამხედრო ნაწილები შევიდა დღეს ემერიხში (ნავთსადგური რეინის მარჯვენა ნაპირზე). ჯარების მიერ დაკავებულია აგრეთვე საბაჟო ჰოლანდიის საზღვარზე.

**მრეწველობის კრიზისი.**

**პარიზი.** 1 მარტი. საფრანგეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ რურის ჩრდილოეთ ნაწილში მრეწველობის კრიზისის გამო, ფაბრიკებმა და ქარხნებმა უნდა შეამცირონ მუშათა რიცხვი.

**სიკვდილით დასჯის შემოღება.**

**პარიზი.** 1 მარტი. კობლენციდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა უმაღლეს კომისიის ბრძანებით საბოტაჟის ან წინააღმდეგობის ყველა აქტებისათვის, რომელიც გამოიწვევს სიკვდილს, მისჯილი იქნება სიკვდილით დასჯა.

**ოკუპაცია ფართოვდება.**

**რომი.** 1 მარტი. რურში გრძელდება ახალი ტერიტორიების ოკუპაცია. საოკუპაციო ხელისუფლება გაგზავრდა მტრულად განწყობილ მოსამსახურეების გადასახლებას.

**გერმანიის პოლიციის დევნა.**

**ბერლინი.** 1 მარტი. რეკლინსგაუზენში საოკუპაციო ხელისუფლებამ დააპატიმრა გერმანიის პოლიციის ყველა მოსამსახურეები.

ბოხუმში 28 თებერვალს დილიდანვე დაიწყო პოლიციელების დაპატიმრება.

ბერნში გერმანიის პოლიციას სავსებით აჰყარეს იარაღი და დააპატიმრეს.

**გენერალ დეგუტის ბრძანება.**

**პარიზი.** 1 მარტი, დიუსელდორფიდან იტყობინებიან, რომ გენ. დებუტმა გასცა ბრძანება, რომლის ძალითაც მაღაროების სამმართველოებს დააჯარიმებენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს იტყვიან გერმანიის კანონებთან შეფარდებულ ინსტრუქციების გაუქმებაზე. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ რურის ნახშირზე შემოღებულ ხარკის გადაუხდელობის შემთხვევაში, დამნაშავენი დაპატიმრებული იქნებიან.

## რურის გარშემო

**ფრანგების ბატონობა.**

**ლონდონი.** 1 მარტი. „დეილი მეილის“-ს კორესპოდენტი დიუსელდორფიდან იტყობინება, რომ საფრანგეთს გადაწყვეტილი აქვს გაფართოვოს რურის მაღაროების ექსპლოატაციის დაბეგვრა და შემოიღოს 40 პროცენტიანი ნიხრი. მეპატრონეები, რომლებიც არ გადაიხდიან ბეგარას, დაპატიმრებული იქნებიან.

**ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება.**

**ლონდონი.** 1 თებ. თუმცაღა არ იყო მიღწეული საფრანგეთის მოთხოვნილებების საკითხში შეთანხმება, რომლითაც საფრანგეთს უნდა მიეცეს ინგლისის საოკუპაციო ზონაში სატრანსპორტო შეღავათები, მაგრამ არის იმის ნიშანი, რომ ეს მოლაპარაკება შეთანხმებით დამთავრდება. ამ ჟამად სწარმოებს მხოლოდ საკითხის ტეხნიკური მხარეების განხილვა. ინგლისის და საფრანგეთის გაზეთებში აღნიშნული იყო, რომ საფრანგეთის მთავრობამ ფართოდ უნდა განავითაროს რკინის გზის ექსპლოატაცია კელნის რკინის გზის ექსპლოატაციასთან ერთად.

## გერმანიის ამბები

**კუნოს კაბინეტი მერყეობს.**

**პარიზი.** 1 მარტი, ლედებური გამოვიდა რეიხსტაგში კუნოს პოლიტიკას სასტიკი კრიტიკით. გერმანიის ნაციონალისტური წრეები მღელვარებით მოელიან „მემარცხენეთა“ პოზიციას. „ფოსიშე ციტუნგი“ აღნიშნავს, რომ სოციალისტები უფრო და უფრო სასტიკი ხდებიან კუნოს კაბინეტის მიმართ.

## ახლო აღმოსავლეთში

**კერზონ ს ოპტიმიზმი.**

**ლონდონი.** 1 მარტი, საერთო პოლიტიკურ მიმოხილვაში ლორდ კერზონმა ლოზანის კონფერენციის შესახებ სთქვა: „თუ კონფერენციამ არ მოგვცა დამაკმაყოფილებელი შედეგები, მაინც არ უნდა გაეწანებოდეს მასზე დახარჯული დრო, ვინაიდან ჩვენ შევასრულეთ კონფერენციაზე რთული საკითხეაი. ლოზანის კონფერენციის შედეგი ამ ჟამად ირჩევა ანგორაში. იქ, როგორც ყველგან, არის ზავის და ომის პარტიები. მე არ ვფიქრობ, რომ რომელიმე ხალხმა ან მთავრობამ უარყოს ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია ისეთი სულგრძელ სტატიებით, როგორც ოსმალეთისთვის ჩვენ მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულება, მე არ ვფიქრობ, რომ ოსმალეთის ინტერესები ისე, როგორც ჩვენი ინტერესები მოითხოვდეს ომის გაგრძელებას, რომელიც თხოულობს ამდენ მსხვერპლს და რომლის შედეგი არავინ იცის. შეეხო რა შემდეგ ლოზანის კონფერენციას, კერზონმა განაცხადა, რომ მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში არ არის ისე უნუგეშო, როგორც გონიათ. ის თავს ინუგეშებს მით, რომ

**იტალიის კოლონიებში.**

**პარიზი.** 1 მარტი. იტალიის კავალერიამ ორშაბათს ტრიპოლის დასავლეთით 200 კილომეტრის მანძილზე მდებარე მიზრატუ დაიკავა. აჯანყებულების დევნა გრძელდება.

**ფაშისტების და ნაციონალისტების გაერთიანება.**

**რომი.** 1 მარტი. ფაშისტებისა და ნაციონალისტებისაგან შემდგარმა შერეულმა კომისიამ მოიწონა ორივე პარტიის შეერთება.

## ჰუნგრეთში

**ჰუნგრეთის მუშებს შორის.**

**მოსკოვი.** 1 მარტი. ჰუნგრეთში იწყება გრანდიოზული ბრძოლა მუშებსა დ მწარმოებლებს შორის სამუშაო ხელფასის შესახებ. მთელ რიგ მსხვილ წარმოებებში დაიწყო გაფიცება, რომელზედაც მწარმოებლებმა ლოკაუტით უპასუხეს. რკინის დამმუშავებელ და ლითონის მრეწველობაში ლოკაუტის ქვეშ იმყოფება 35.000 მუშა, ხე-ტყის მრეწველობაში—14000 მუშა. ბურჟუაზიული პრესა საყოველთაო გაფიცვის შიშით მოუწოდებს მწარმოებლებს ზომიერებისაკენ. ყველა ბელადები ხელს უშლიან მუშებს გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმაში და ურჩევენ მათ განაახლონ მუშაობა.

**ჰუნგრეთი და ჩეხო-სლოვაკია.**

**რომი.** 1 მარტი. ენენეაში დაიწყო ჰუნგრეთისა და ჩეხო-სლოვაკიის შორის საზღვრის საქმის მომწესრიგებელთ კონფერენცია.

## სხვადასხვა ამბები

**ბელგიის მუშების მოთხოვნილება.**

**მოსკოვი.** 1 მარტი. სამთამადნო მუშების მიხედვით, ბელგიის მრეწველობის სხვა დარგის მუშები შარლრუაში და სხვა ქალაქებში მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მომატებას.

**ლიტვას შესახებ ჩიჩერინის ნოტის გამო.**

**მოსკოვი.** 1 მარტი. საფრანგეთის პრესა იხილავს პოლონეთისათვის გაგზავნილ ჩიჩერინის ნოტას ლიტვის შესახებ. გაზეთი „ეკო ნაციონალ“ სწერს: „პოლონელები ფრთხილ დ უნდა იყვნენ, რათა არ მისცენ წითელ არმიას აქტიური მოქმედების დაწყების საბაბი.

გაზ. „ინფორმაციონ“-ში ერრიო სწერს, რომ ჩიჩერინის ნოტა მშვიდობიანი ტონით არის დაწერილი. ერრიოს აზრით საჭიროა დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთსა და საფრანგეთს შორის.

**ბ ე ლ გ ი ა.**

**„იარალს იყრიან.**

**პარიზი.** 1 მარტი. ბელგიის პარლამენტმა მიიღო კანონ-პროექტ ჯარის შეკრების წესის შესახებ.

**გრეი—ხაკონტრიბუციო ხაკითხის შესახებ.**

**ლონდონი.** 1 მარტი. ლორდ გრეიმ ბრისტოლში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ საკონტრიბუციო საკითხი გადაწყვეტილი უნდა იქნას ერთა ლიგის მიერ და არა სხვა რომელიაე გზით.

## ჩითელ რესპუბლიკაში

### რუსეთი

**მომავალ პარტიულ ყრილობისათვის.**

**მოსკოვი.** 1 მარტი, „პრავდა“ მოწონებულ სწერს: „პარტიული ყრილობის დღის წესრიგში, რომელიც გამოაქვეყნა პარტიის ცეკამ, შეტანილია ძირითადი საკითხები: მრეწველობის ორგანიზაცია, საგადასახადო პოლიტიკა სოფელში, ეროვნული საკითხი დ ორგანიზაციული საკითხები. ყრილობისათვის წინასწარი დისკუსია დაიწყო. მიუხედავად იმისი, რომ ცალკე მუშაობის საკითხებში სუფევს აზრთა სხვა და სხვაობა, პარტიის წევრებს შორის ადგილი არ ჰქონია არსებით წმინდა-პრინციპიალური ხასიათის უთანხმებას. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მომავალ ყრილობაზე უთანხმებას არ ექნება ადგილი. ჩვენი მტრები, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლებასთან და ჩვენს პარტიასთან აშკარა ბრძოლაში დაჰკარგეს გამარჯვების იმედი და ამ ჟამად იმედს მხოლოდ შინაგან უთანხმოებაზე ამყარებენ, კვლავ იმედგაცრუებულნი დარჩებიან“.

**სასოფლო-მეურნეობის ინვენტარი.**

**მოსკოვი.** 1 მარტი, „ეკონომიური ცხოვრება“ თავის წერილში, სოფლის-მეურნეობის ცოცხალი ინვენტარის და გლეხთა მეურნეობის აღდგენის საკითხის შესახებ, აღნიშნავს, რომ მთავრობამ 1922 წელს გაიღო 17,1 მილ. მანეთი 35,000 ცხენის შესყიდვის და გლეხთა მეურნეობის აღდგენის მიზნით. მიღებულ ცნობების მიხედვით უკვე შესყიდულია 11,500 ცხენი. მოთხოვნილებასთან შეფარდებით ეს რაოდენობა უმნიშვნელოა და მას შეუძლია მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების შემსუბუქება. გლეხთა მეურნეობის აღდგენა შეუძლია თვით მოსახლეობას მრავალი წლობით გულმოდგინე მუშაობის გზით. საჭიროა პირველ ყოვლისა ზრუნვა ცოცხალი ინვენტარის გადარჩენისათვის და ბრძოლა გადამდებ სნეულებებთან, რომელიც ძლიერ გავრცელებულია და საფრთხეს უმზადებს ჩვენს საქონლის მოშენების საქმეს. ცხენების მეტი ნაწილი შესყიდულია ყირგიზეთში, სადაც გავრცელებული იყო სხვა და სხვა სნეულებანი. ამისათვის აუცილებელია განსაკუთრებული სიფრთხილე პირუტყვების რესპუბლიკის სხვა რაიონებში გადაყვანის დროს.

**გერმანიის საბავშვო სახლებზე შეფოტა.**

**მოსკოვი.** 1 მარტი. მოსკოვის პროფკავშირთა საბჭომ მიიღო შეფოტა საბავშვო სახლებზე, რომლებშიაც მოთავსებული არიან რევოლიუციონერ ბრძოლაში დაღუპულ მუშების ბავშვები. სათანადო შენობა უკვე გამონახულია გერმანიაში—ტიურინგენის ტყეში. შენობა მორთულია ყოველგვარ სატეხნიკო საშვალებებით და ინვენტარით.

**რუსეთის დელეგატები საქარხნო კომიტეტების კონფერენციაზე გერმანიაში.**

**მოსკოვი.** 1 მარტი. სრულ. რუს. პროფ. კავშირთა ცენტრ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა გააგზავნოს გერმანიაში ქარხკომების კონფერენციაზე 4 დელეგატი: ერთი—სრ. რ. ს. კ. ც. საბჭოსაგან და თითო წარმომადგენელი —მელითონელების, სამთომადნო მუშებ-ს და ტრანსპორტის კავშირებისაგან.

**მუშათა უნივერსიტეტი ნიკოლაევში.**

**მოსკოვი.** 1 მარტი. ნიკოლაევის მელითონთა რაიკომმა გახსნა მუშათა უნივერსიტეტი ფიზიკურ-მატემატიკური, საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებით.

ტემირიაზევის სახელობის ტეხნიკუმთან გაიხსნა აგრეთვე მუშათა ფაკულტეტი, რომელშიაც მიღებულია 50 მუშა.

**ხატების დაწვა.**

**მოსკოვი.** 1 მარტი. ნიკოლაევის გუბერნიის, სოფელ ბოგაევკის შეგნებულმა გლეხებმა ხალხის წინაშე დასწვეს ხატები.

**საბჭოთა კომერციული განათლება.**

**მოსკოვი.** 1 მარტი. „იზვესტია“ საბჭოთა კომერციული განათლების შესახებ სწერს: „1921 წ. მარტში რუსეთის ახალ ლიანდაგზე შედგომისას ჩვენ წინაშე წარმოიშვა ამოცანა სავაჭრო მოღვაწეობისათვის მუშაკების მომზადების შესახებ. ეხლა, როდესაც საბჭოთა კომერცია უკვე განვითარებულია, საჭიროა, რათა კომერციული განათლებით დაინტერესდეს განათლების სახალხო კომისარიატთან ერთად ყველა ორგანოები, რომლებიც ასრულებენ საეკონომო ფუნქციებს. საჭიროა ამ საკითხებით დავაინტერესოთ აგრეთვე კოოპერატიული ორგანიზაციები. სახელმწიფო დახმარების სიმცირის გამო საჭიროა მატერიალური დახმარება. თუ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებს სურთ შეინარჩუნონ კომერციულ სკოლების საჭირო ქსელი, მათ უნდა აღმოუჩინონ მას ყოველმხრივი დახმარება“.

**ბამბა უცხოეთიდან.**

**მოსკოვი.** 1 მარტი. რიგის საზღვრებით გამოგზავნილია რუსეთში ბოხეთში შესყიდულ ბამბის პირველი პარტია 1150 შეკვრა.

**სავაჭრო-სამრეწველო მუზეუმი.**

**მოსკოვი.** 1 მარტი. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი აწყობს მოსკოვის სამაეროსთან სავაჭრო-სამრეწველო მუზეუმს, რომელშიაც მოთავსებული იქნება შემოსატან და გასატან საქონლის ნიმუშები და აგრეთვე ლაბარატორია საქონლის ნიმუშის გასასინჯად.

**ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის სუთი წლის თავი.**

**მოსკოვი.** 1 მარტი. 27 თებერვალს სტავროპოლში გადახდილი იყო დღესასწაული სტავროპოლის ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის დაარსებიდან 5 წლის შესრულების გამო.

ინსტიტუტი ამ ჟამად ამზადებს ვაქციონებსა და შრატს მთელი ჩრდილოეთ კავკასია, დონისა და ამიერ-კავკასიისათვის.

**რევოლიუციის მსხვერპლთა ძეგლი.**

**მოსკოვი.** 1 მარტი. პეტროგრადის საგუბერნიო საბჭოს აღმასკომმა დამტკიცა მარსის მოედანზე რევოლიუციის მსხვერპლთა ძეგლის აგების კომიტეტი. კომიტეტში შედიან ევროპის ყველა ქვეყნებისა და ამერიკის რევოლიუციონერ მუშათა პარტიების წარმომადგენლები. კომიტეტის სასტიო თავმჯდომარეთ არჩეულია ანატოლინინი.

**უმუშევარ ახალგაზრდობისათვის ხმარების კვირეული.**

**მოსკოვი.** 1 მარტი. კოსტრომაში „ომუნისტ. ახალგაზრდობის კავშირის მიერ გამართულ უმუშევარ ახალგაზრდობისათვის დახმარების კვირეულის დროს განხილულია წარმოებებში შეგრდების შევსების პროცენტული ნორმის სისწორე. სწარმობს ორგანიზაცია უმუშევარ ახალგაზრდობის სახლისა სხვა და სხვა სახელოსნებით.

## ოგანიზაციების ამიერ-კავკასიის მე-2-ე კრებაზე

### პარტიულ ყრილობის დღის წესრიგი.

1. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის (პოლიტიკური და საორგანიზაციო) ანგარიში.
2. საკონტროლო კომისიის ანგარიში.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. ახალგაზრდობის კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მოხსენება.
5. ფინანსიურ რეფორმის შედეგები და საგადასახადო პოლიტიკა.
6. ეროვნული მომენტი საბჭოთა და პარტიულ აღმშენებლობაში.
7. საორგანიზაციო საკითხები.
8. სამეურნეო აღმშენებლობის საკითხები.
9. არჩევნები.
10. მიმდინარე საქმეები.

წარმომადგენლობის ნორმა—პარტიის ყოველ 100 წევრზე 1 დელეგატი.

*რუს. კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი—ა. მიახნიკოვი.*

## უცხოეთის ცხოვრება

**ინგლისის მუშათა პარტია და რურის საკითხი.**

თემთა პალატის სხდომაზე გრძელ დებოდა კამათი მეფის სიტყვაზე საპასუხო მიმართვის საკითხის გარშემო.

